



BAU INTERNATIONAL UNIVERSITY BATUMI LIMITED

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტოი, ბათუმი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №02/63

ქ. ბათუმი,

7 სექტემბერი 2018წ

„აბიტურიენტთა აკადემიური და ფინანსური რეგისტრაციის პროცესი“

გხელმძღვანელობ რა, აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 ივნისის №6 დადგენილებით „სტუდენტის სტატუსისა და მობილობის შესახებ“, დებულების, რექტორის 2018 წლის 9 ივლისის №03/22 ბრძანების „აკადემიური კალენდარის დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტოი, ბათუმი“ ჩარიცხვის უფლების მქონე აბიტურიენტთა აკადემიური და ფინანსური რეგისტრაციის ვადებია 2018 წლის 12-14 სექტემბრის ჩათვლით 18:00 საათამდე.
2. საქართველოს მოქალაქე აბიტურიენტთა მიერ რეგისტრაციისას წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტები:
 - ა) განცხადება რექტორის სახელზე (ადგილზე ივსება);
 - ბ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
 - გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (დედანთან ერთად);
 - დ) 2 (ორი) ფოტოსურათი 3X4;
 - ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულ პირთათვის);
 - ვ) ზემოაღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე ელექტრონულ მატარებელზე (CD დისკზე).
3. უცხო ქვეყნის მოქალაქემ რეგისტრაციისას უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
 - ა) პასპორტის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ორიგინალთან ერთად);
 - ბ) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უცხოეთში მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - გ) ინგლისური ენის განმსაზღვრელი საერთაშორისო დონის სერთიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) TOEFL (iBT 79), IELTS 6.5. (Acad.), FCE B, YDS80, Pearson PTE. 78);

დ) 2(ორი) ფოტოსურათი 3X4;

ე) ზემოაღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე ელექტრონულ მატარებელზე (CD დისკზე).

4. აბიტურიენტები აკადემიური რეგისტრაციის შემდგომ გადიან ფინანსურ რეგისტრაციას და დებენ მომსახურების ხელშეკრულებას შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“.

5. აბიტურიენტთა რეგისტრაციის პროცესსა და კონსულტაციების გაცემას ახორციელებს საერთაშორისო ურთიერთობების, მარკეტინგისა და სტუდენტთა მომსახურების სამსახურის უფროსი (მეორე სართული, ოთახი №136).

6. კორესპოდენციისა და ადამიანური რესურსების სამსახურს დაევალოს წინამდებარე ბრძანების გაცნობა შესაბამისი სამსახურისათვის და განთავსდეს ოფიციალურ ვებ - გვერდზე.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანების პროექტი ძალაში შესვლისთანავე დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში მისი გაცნობიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში, მისამართზე - ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30.

რექტორი, პროფესორი
ისმეთ დინდარ

